მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №17
2021 წლის 26 ნოემბერი
ქ. მარტვილი

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ვ“ ქვეპუნქტისა და ,,დ“ პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 და 25-ე მუხლების, ,,საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის, ,,პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისად იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის №215 დადგენილების შესაბამისად, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.
განისაზღვროს და დამტკიცდეს მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობათა რანგირება, თანამდებობრივი სარგოების ოდენობები და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხა დანართის შესაბამისად.

მუხლი 2.
ამ დადგენილების ამოქმედებიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №3 დადგენილება.

მუხლი 3.
დადგენილება ამოქმედდეს 2022 წლის 1 იანვრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე: ალექსი გაბისონია

დანართი

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობათა რანგები, თანამდებობრივი სარგოების ოდენობები და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხა

№	თანამდებობათა დასახელება	თანამდებობათა სარგოები (ლარებში)	საშტატო რიცხოვნობა
1.	საკრებულოს თავმჯდომარე	4510	1
2.	საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	3410	1
3.	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	2970	2
4.	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	2420	5
5.	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	2200	
6.	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	1760	
პირველი რანგი (მაღალი მმართველობითი დონე)- დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი			
7.	საკრებულოს აპარატის უფროსი	2200	1
მეორე რანგი (საშუალო მმართველობითი დონე)- მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი			
8.	საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და იურიდიულ საკითხთა განყოფილების უფროსი	1980	1
მესამე რანგი (უფროსი სპეციალისტის დონე)			
9.	საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და იურიდიულ საკითხთა განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1540	3
მეორე რანგი (საშუალო მმართველობითი დონე)- მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი			
10.	საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო საკითხთა, საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი	1980	1
მესამე რანგი (უფროსი სპეციალისტის დონე)			
11.	საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო საკითხთა, საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1540	4
მეორე რანგი (საშუალო მმართველობითი დონე)- მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი			
12.	საკრებულოს აპარატის საფინანსო და მატერიალურ-ტექნიკურ საკითხთა განყოფილების უფროსი	1980	1
მესამე რანგი (უფროსი სპეციალისტის დონე)			

13.	საკრებულოს აპარატის საფინანსო და მატერიალურ-ტექნიკურ საკითხთა განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1540	2
		სულ ჯამი	13